MES 3 23 0001596048

24/11/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 9 ნოემბერს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Nov 9, 2023 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/84199854631?pwd=bG45MG9qb1NKWFQ4K3RlVGlQYVBKdz09
Meeting ID: 841 9985 4631
Passcode: 985235

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:
შპს ესკო-ეს
გვანცა ხელაძე - დირექტორი

სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“
თამარ თედორაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მენეჯერი

ა(ა)იპ მეურნეობა განათლება
ზურაბ მახარაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი
მურმან გამისონია - დირექტორი
მაია ჩოკოშვილი - დირექტორის მოადგილე ხარიხის მართვაში
სოფია ქირია - „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ზურაბ კიკაბიძე - „სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი/მწვრთნელი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი
ნატალია პატარიძე - დირექტორი

პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტები:
ხათუნა ჩომახიძე
ირმა ღარიბაშვილი
თამარ ახალაძე
მედეა თუთბერიძე
ალბერტ ისახანოვი
ნათია არაბიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ესკო-ესის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ /01722/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღის“ „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“ /01759/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ მეურნეობა განათლების „სასათბურე პირობებში მარწყვის მოვლა-მოყვანა“ /01758/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ /01772/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის „სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი-მწვრთნელი“ /01771/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01673/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს ესკო-ესის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ /01722/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის ცენტრის წარმომადგენელმა სოფიკო ბექირაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 17 ოქტომბრის №1391180 ბრძანების მიხედვით, რომლის საფუძველი იყო პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 11 ოქტომბრის №1349351 გადაწყვეტილება - შპს ესკო-ეს-ის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“, პროფესიული გადამზადების პროგრამას განესაზღვრა ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადა. დაწესებულებამ 2023 წლის 16 ოქტომბერს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) გამოასწორა ხარვეზი (მსმენელთა შეფასების წესი).
განხორციელდა განახლებული განაცხადის შესწავლა, კერძოდ, დისტანციურად იქნა შეწავლილი პირველი სტანდარტი, დარგის ექსპერტის ხათუნა ჩომახიძის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის სოფიკო ბექირაძის მიერ და დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული და გადმოგზავნილი მსმენელთა შეფასების წესი ვალიდური იყო.
აღნიშნული პროგრამის შესწავლის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულებას მიცემული ჰქონდა ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, კერძოდ,
ქვესტანდარტი 1.10 მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
„იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო ორიენტირებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელის შეფასებაზე. წარმოდგენილი კრიტერიუმები უფრო მეტად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებსა და სქემებს აღწერდა.
დაწესებულებამ მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს ელექტრონულ სისტემა QMS-ში წარმოადგინა მსმენელთა შეფასების წესი, რომელიც შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, აქედან

გამომდინარე, ხარვეზი გამოსწორებულია და წარმოდგენილი მსმენელის შეფასების წესი უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
სოფიკო ბექირაძემ ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, ხანგრძლივობა - 14 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა, „ეკლესიასთან“.
შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა, ხათუნა ჩომახიძემ და აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სექტორში დანადგარების, მანქანების ოპერატორებსა და ამწყობების ძირითად პროფესიულ ჯგუფს მოკრძალებული წილი უკავია. ეს მაში,ნ როდესაც ევროკავშირის დირექტივებზე დაყრდნობით, 2021 წლიდან ძალაში შევიდა კანონები „ენერგოეფექტურობის შესახებ“, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ახალი სავალდებულო ენერგეტიკული მახასიათებლების დანერგვას ორივე - გენერაციის და მოხმარების სექტორებში.
საქართველოს კანონის „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა, ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2021 წლის 13 ივლისს საქართველოს მთავრობის №354 დადგენილება შენობებს, შენობების ნაწილებს ან შენობების ელემენტებს უწესებს მინიმალურ მოთხოვნებს, რაც აჩენს დამატებით მოთხოვნებს შენობების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების მონტაჟის მიმართ. ეს ფაქტი ზრდის მოთხოვნებს შრომის ბაზარზე და მძაფრად აყენებს საკითხს „ჰიბრიდული ენერგოგენერაციის სადგურების“ მემონტაჟეების და მოვლა-პატრონობის სპეციალისტების საჭიროებებზე.
ამ საჭიროებების დაკმაყოფილება შესაძლებელია პროფესიული გადამზადების პროგრამით, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია, ცოდნა და კომპეტენცია აუცილებელია ქვეყანაში გაჩენილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული პროგრამა სწორედ ამ საჭიროებას დააკმაყოფილებს. მან ასევე ისაუბრა შეფასების წესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შეფასების წესში გათვალისწინებულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება და შესაბამისად ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გამოეთქვა მოსაზრება, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულება ყველანაირად მზადაა აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად, როგორც კი საბჭო მიანიჭებს ამ პროგრამას განხორციელების უფლებას, უკვე გაზაფხულის სემესტრიდან განხორციელდება პროგრამა, მითუმეტეს, პირველი ნაკადი სრულად იქნება დაფინანსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ მისასალმებელია ასეთი საჭიროების დაკმაყოფილებას რომ ხელს შეუწყობს აღნიშნული პროგრამა, მისასალმებელია ასეთი პროგრამების ბაზარზე შემოსვლა და წარმატება უსურვა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესკო-ესის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ /01722/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესკო-ესს (ს/კ: 200270973) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ /01722/ **(დანართი 1)**.

2. სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღის“ „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“ /01759/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 06 ოქტომბრის №1321761 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოების“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 20 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი
ქ. ქობულეთში, მისამართზე შ. რუსთაველის №154.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა ორი რეკომენდაცია 1.2 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს - პროგრამის მიზნებიდან, შედეგებიდან და თემატიკიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს ზედამხედველობის, მართვისა და კონტროლის სამუშაოებს, მისი ვალდებულებაა აღმოაჩინოს და შეაფასოს ტექნიკური მდგომარეობა და მიიღოს შესაბამისი ზომები. მიზანშეწონილია პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - **„შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და ტექნიკური შემოწმების სამუშაოები“.**
ქვესტანდარტი 2.3 სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია
მათ საჭიროებებზე - სასწავლო რესურსის ჩამონათვალში მოცემულია შრომის დაცვის ტექნიკური რეგლამენტები და რეგულაციები, რომლებიც განიცდიან ცვლილებებს პერიოდულად. პროგრამაში ერთ-ერთ სასწავლო რესურსად მითითებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-15/ნ ბრძანების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მოცემულ დოკუმენტში

მოგვიანებით შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება №01-21/ნ ბრძანებით. ქვეყანაში საქმიანობა ხორციელდება ორივე ბრძანების საფუძველზე. ასევე, ცვლილებები ხორციელდება სხვა რეგულაციებთან და კანონებთან მიმართებაში. მიზანშეწონილია, ქვეყანაში მოქმედი შრომის დაცვის ტექნიკურ რეგლამენტებსა და რეგულაციებში, სახელმწიფოს მიერ გატარებული ცვლილებების ასახვა პროფესიული მომზადების პროგრამაში განხორციელდეს საჭიროებისამებრ.

წარმოდგენილი პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, პროგრამის განხორციელების ადგილი, ქ. ქობულეთი, შ. რუსთაველის №154, თეორიული კომპონენტი განხორციელდება აღნიშნულ მისამართზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება - პრაქტიკის ობიექტზე, მისამართზე ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №7ბ.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - პროგრამის საჭიროების დასაბუთება, სადაც გაწერილია, რომ პარტნიორ კომპანიასთან ,,ორბი ჯგუფი ბათუმი'', რეგულარული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა საქართველოს შრომით ბაზარზე ახალი პროფესიის შექმნის საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებას. გამოკითხულ 32 ორგანიზაციაში ფიქსირდება სასტუმროების ქსელი „ორბი ჯგუფი ბათუმი“,

სადაც კომპანიის HR მენეჯერი გამოთქვამს მოსაზრებას ზემოაღნიშნული სპეციალისტების საჭიროებისა და დასაქმების შესახებ. კოლეჯმა წარმოადგინა აღნიშნული კვლევები.

პარტნიორი კომპანიაა - ,,ორბი ჯგუფი ბათუმი'', ,,ორბი სითი'' არის მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც სამ 55 სართულიან სასტუმრო ნაგებობას და ინფრასტრუქტურულ ბლოკს მოიცავს. აპარტამენტების საერთო რაოდენობა კომპლექსში 9000–ს ერთეულს აჭარბებს. ,,ორბი სი თაუერსი'' არის კომპლექსი, რომელიც შედგება ორი 25 და ერთი 34 სართულიანი ბლოკისგან. ,,ორბი ბიჩ თაუერი'' არის კომპლექსი, მოიცავს 45 სართულს. ,,ორბი რეზიდენსი'' არის კომპლექსი მოიცავს 35 სართულს. ,,ორბი სითი პარკი'' არის პირველი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი ბათუმში სავაჭრო-გასართობი ცენტრებითა და მრავალსართულიანი პარკინგით. ,,ორბი პლაზა'' არის პირველი აპარტოტელი ბათუმში კერძო საკუთრებაში არსებული სასტუმროს ნომრებით.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“, რომელიც ბმაშია პროგრამის შინაარსთან, თუმცა ზემოთ აღინიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება დარედაქტირდეს.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: განათლება: საშუალო, ასაკი - 18 წელი; აპლიკანტების შერჩევის ფორმა - გასაუბრება. კვირეული საათობრივი დატვირთვა 25 საათი, სულ 400 საკონტაქტო საათი, პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ინტერაქციული ლექცია; პრაქტიკული სავარჯიშო.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 6 განმახორციელებელი პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაწესებულებას აქვს 30 მსმენელის მომზადების რესურსი, რაც გულისხმობს მსმენელებისა და განმახორციელებელი პირის შესაბამისი

სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფას (ინვენტარი - სტუდენტისა და მასწავლებლის მაგიდები და სკამები, პროექტორი, კომპიუტერი). ექსპერტთა მიერ შემოწმდა მატერიალური რესურსი მომზადების პროგრამაში მოცემული ჩანაწერების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას კოლეჯში ცალკე სივრცედ აქვს გამოყოფილი სახელოსნო. აღნიშნულ სივრცეში თვალსაჩინოებისთვის და პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად განთავსებულია ყველა ის რესურსი, რაც საშულებას მისცემს მსმენელს მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მსმენელთა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის წესები, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესები და უსაფრთხო გარემოს მოწყობის პირობები.
კოლეჯს ჰყავს უსაფრთხოების სერთიფიცირებული სპეციალისტი. კოლეჯის ბაზაზე არსებული სასწავლო A და C გარემოში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების წესები. კოლეჯის შენობის თითოეულ სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები და სხვა სახანძრო აღჭურვილობები. ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების №105 აქტით. პარტნიორი კომპანიის ბაზაზე არსებულ გარემოში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.
,,პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესის'' დოკუმენტში გაწერილი აქვს სერტიფიკატის და დანართის გაცემის წესი. წესის თანახმად პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შედეგად გასაცემი სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართის ნიმუში მზადდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, კერძოდ დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამის შესახებ.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რომელიც დასტურდება დოკუმენტით ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები''.
ვიზიტის დროს გადამოწმდა სერტიფიკატის გაცემის სისწორე. სერთიფიკატის ფორმა და ენობრივი სისწორე შეთანხმებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ თედორაძემ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მენეჯერმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დადებითი შეფასებისთვის და დასძინა, რომ დაწესებულებამ უფლების მოპოვების გზით პირველად შემოიტანა განაცხადი, თუმცა რეგისტრაციის გზით უკვე ახორციელებენ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, დაწესებულება ითვალისწინებს დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, როგორც სახელწოდების ნაწილში, ასევე, რეგულაციების ნაწილში, რომელიც შესაბამისად გათვალისწინებული იქნება, მან ასევე მადლობა გადაუხადა პარტნიორებს თანამშრომლობისთვის.
საბჭოს წევრმა მარიამ შოთაძემ აღნიშნა, რომ მისთვის ცოტა გაუგებარია, თუ რა უნდა აკეთოს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულმა, რაზეც დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ეს პირი არ იქნება უშუალოდ ამ სამუშაოების შემსრულებელი, არამედ პირი,

რომელსაც ექნება მიღებული ცოდნა და უნარები, ეს პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს რა ტიპის დაზიანებებია კონკრეტულ შემთხვევაში შენობებში და მიმართულებას მისცემს კონკრეტული სამუშაოს აღმოსაფხვრელად.
მარიამ შოთაძე ასევე დაინტერესდა, ვინაიდან ბათუმშია პრაქტიკის ობიექტი, ხომ არ იქნება ეს დაბრკოლება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს დაწესებულება, კოლეჯს აქვს გამოცდილება, თანამშრომლობს ბათუმის ბევრ საწარმოო ობიექტებთან და ამ მხრივ არ იქნება პრობლემა.
ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ აირჩია დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტი ქობულეთში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო კონკრეტული ორგანიზაციის მოთხოვნა, ამ პრინციპით იქნა კონკრეტული ობიექტი შერჩეული.
ნინო ბაბალაშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. თუ ტრანსპორტირება არ დაფინანსდება, ამ შემთხვევაში პრობლემა ხომ არ შეექნებოდა პროგრამას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს იმის საშუალება, რომ შეუფერხებლად მოხდეს ამ მსმენელების ტრანსპორტირება.
საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა სათათბიროდ გასვლა.

სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღის“ „შენობა-ნაგებობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და ტექნიკური შემოწმების სამუშაოები“ /01759/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შენობა-ნაგებობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და ტექნიკური შემოწმების სამუშაოები /01759/ **(დანართი 2)**.

3. ა(ა)იპ მეურნეობა განათლების „სასათბურე პირობებში მარწყვის მოვლა-მოყვანა“ /01758/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 2 ოქტომბრის №1276336 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „სასათბურე პირობებში მარწყვის მოვლა-მოყვანა"/01758 განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 12 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ მეურნეობა განათლებაში, მისამართზე გორის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზემო ნიქოზი.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა ორი რეკომენდაცია 1.1 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში.
ქვესტანდარტი 1.1 - დაწესებულებამ სასურველია წარმოადგინოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების უფრო სრულყოფილი დოკუმენტი, სადაც განხილული იქნებოდა ამ რაიონში და რეგიონში არსებული კენკროვანი კულტურების (კერძოდ მარწყვის) ბაღების არსებობა/ არარსებობის შესახებ. სასურველი იქნებოდა ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ყოფილიყო ბაღების რაოდენობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი/ ან ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მოკვლევა.
ქვესტანდარტი 1.6 - სასურველია ქვემოთ ჩამოთვლილ სწავლის შედეგებში კონკრეტულად იყოს წარმოდგენილი თუ რომელ საკითხებს/თემებს შეისწავლის მსმენელი, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების/თემატიკის სრულად შესწავლა პროგრამაში მითითებულ დროში შეუძლებელია: 6. ბიზნესის რეგისტრაცია; 7. მარკეტინგული გაყიდვების ძირითადი სტრატეგიების აღწერა; 8. გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 17 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 100, პროგრამის განხორციელების ადგილი - გორის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზემო ნიქოზი.
დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა ქვესტანდარტებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ელექტრონულ სისტემაში პროგრამის საჭიროების დასაბუთების ველში ატვირთული აქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ, კერძოდ, პროგრამის გავლის შემდგომ მიღებული ცოდნითა და გამოცდილების, კვალიფიკაციის მქონე კადრი ბევრ სხვადასხვა სფეროსთვის არის მოთხოვნადი. დღევანდელ AI სამყაროსა და ციფრულ ეპოქაში უამრავი სამსახურია, სადაც კადრების დეფიციტია ზუსტად იმ სფეროებში, რომელშიც გამოცდილება პროგრამის გავლის შემდგომ გროვდება.
შესწავლილ იქნა HR.com და Jobs.ge, Linkedin.com და ფრილანს პლატფორმის Upwork.com ვაკანსიები, მოთხოვნა თანამედროვე აგრონომის პროფესიაზე ძალიან მაღალია, მიწოდება კი საგანგაშოდ ნაკლები. ასევე ძალიან ცოტაა ის ადამიანები, ვინც სოფლის მეურნეობის თანამედროვე აგრო ტექნოლოგიებს და აგრო სტარტაპებს იცნობენ, ხოლო მსგავსს კადრებზე მოთხოვნა კი დიდი. ასევე ძალიან ცოტაა ის ადამიანები, ვისაც გამოცდილება აქვს სტარტაპის შექმნაში, მენეჯმენტში, პროდუქტისა და კომპანიის ბრენდინგში, მარკეტინგში, სადაც მინიმუმ გამოცდილებას ყველა ითხოვს. მსგავსი ტიპის მოთხოვნები უამრავია როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს HR ბაზარზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-უნარებზე მოთხოვნა დასტურდება სხვადასხვა კვლევებით და ჩვენივე კომპანიის მოთხოვნიდანაც. ამ პოზიციებზე, ყოველწლიურად სხვადასხვა რაოდენობის კადრია საჭირო. მაგალითად, აგრონომი, სათბურის ტექნოლოგიების მცოდნე და სხვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაცია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აპლიკანტები პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაიშვებიან პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები; შეფასების ფორმით; წარმოდგენილი მოტივაციური ინტერვიუს კითხვარებით.
რაც შეეხება სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია.
პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 17 კვირაა, კვირეული დატვირთვა - 6-14 საათი, სულ საათების რაოდენობა - 136. სწავლება განხორციელდება სოფელ ზემო ნიქოზში. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული. პირველი-მეხუთე სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება დაგეგმილია მე-9 კვირას, ხოლო მეექვსე-მეათე სწავლის შედეგების შეფასება - მეჩვიდმეტე კვირას. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. სწავლების პროცესში ჩართულია 7 სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი. მსმენელებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსები, ასევე სისტემატური დახმარების სერვისი მორგებულია თითოეული მსმენელის საჭიროებას.
ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი. ორგანიზაციას ზემო ნიქოზის სკოლასთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, ხელშეკრულების თანახმად სკოლა იღებს ვალდებულებას მოსარგებლე მხარის მიმართ, დაუთმოს სკოლის თავისუფალი და ურთირთშეთანხმებული საკლასო აუდიტორიები პროფესიული მომზადების პროგრამის განსახორციელებლად, ურთიერთშეთანხმებულ პერიოდში.
სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკის ოთახი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც A გარემო, სადაც განთავსებულია 20 მაგიდა და სკამი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი, კომპიუტერი, პროექტორი.
ა(ა)იპ მეურნეობა განათლების წარმომადგენელთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ სოფელ ზემო ნიქოზის სკოლაში სწავლა ხორციელდება ცხრა საათიდან სამ საათამდე, შესაბამისად დღის მეორე ნახევარში განხორციელდება პროფესიული მომზადების პროგრამა. ასევე ა(ა)იპ მეურნეობა განათლებას იჯარით აღებული აქვს ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს სკოლის უკანა ეზოში პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 7 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობით და ვიზუალური დათვალიერებით.
პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების და მათი განხორციელების შედეგების სისტემატიური შეფასების მიზნით გამოიყენება მსმენელთა, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელ პირთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. ასევე, სწავლების პროცესში განხორციელდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების, აგრეთვე გამოკითხვის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, შემუშავდება ანგარიშები, სადაც მოცემული იქნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პერსონალის საქმიანობის შეფასების შესახებ.
ვინაიდან ა(ა)იპ მეურნეობა განათლებას არა აქვს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების გამოცდილება, 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტი გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გახლდათ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია, შესაბამისად სასურველია თემატიკები უფრო დაკონკრეტებული იყოს და ჩანდეს თემატიკიდან, თუ კონკრეტულად რა თემატიკა მოიაზრება.
საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა მსმენელთა რაოდენობასთან დაკავშირებით, 100 მსმენელის საჭიროება არის თუ არა და თუ არის რეალურად ამ პროგრამაზე ასეთი მოთხოვნა.
დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს პროგრამა გამიზნულია სკოლის მოსწავლეებისთვის, აქ მაქსიმალურად ჩართული იქნება სკოლის მოსწავლეები, 9 კლას დამთავრებულები, თუმცა შესაძლებელია სხვა პირებიც მოვიდნენ აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც ისაუბრა ამ პროექტთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა ხორციელდება Fundraiser Group-ში შემავალი არაკომერციული ორგანიზაციის მიერ - ''მეურნეობა განათლება'', რომელიც დაფუძნდა ახალი პროექტის განსახორციელებლად.
Fundraiser Group არის კომპანიებისა და ორგანიზაციების ჰოლდინგი, რომელშიც შედის ქართული ქრაუდფანდინგ პლატფორმა Fundraiser.ge, მარწყვის ნერგების კომპანია thankyou.ge რომელიც ასევე არის ჩვენი ნიქოზის პროექტის ფანდრაიზინგ კამპანიის საიტი, შპს ლიდფორტი და შპს მშვიდობის ტყე. 2016 წლიდან გუნდი ახორციელებს სხვადასხვა სოციალურ თუ ბიზნესს პროექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.
მეურნეობა განათლებაც ერთ-ერთი სოციალური პროექტია, რომელიც ემსახურება ჩვენი ქვეყნის სკოლებისთვის, დამოუკიდებელი დეცენტრალიზებული და გარანტირებული შემოსავლის გაჩენას, რომელიც მოხმარდება სკოლის განვითარებას, ხოლო ბავშვებისთვის კი იმ ცოდნისა და გამოცდილების მიცემას, რომელიც დღევანდელ ტექნოლოგიურ სამყაროში სასიცოცხლოდ აუცილებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მიესალმება ასეთი სახის პროექტების განხორციელებას, მითუმეტეს საზღვრისპირა სოფლებში და მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მისასალმებელია ასეთი ინიციატივები და წარმატება უსურვა ორგანიზაციის წარმომადგენელს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მეურნეობა განათლების „სასათბურე პირობებში მარწყვის მოვლა-მოყვანა“ /01758/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ მეურნეობა განათლებას (ს/კ: 404680751) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სასათბურე პირობებში მარწყვის მოყვანა-მოვლა /01758/ **(დანართი 3)**.

4. ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ /01772/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მედეა თუთბერიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 12 ოქტომბრის №1354923 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მედეა თუთბერიძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 19 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26.
ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დარგის ექსპერტმა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტმა წარმოადგინა დოკუმენტი - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების საჭიროების დასაბუთება, რომლის თანახმად ჩატარებული იქნა კვლევა, კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის მიერ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების უფლების მოპოვების გზით განხორციელებისთვის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლები მზად არიან, როგორც თავიანთ ორგანიზაციებში დასაქმებულებს აუმაღლონ კვალიფიკაცია, ასევე მიიღონ ახალი კვალიფიციური კადრები. ახალი უნარების შეძენა კონკურენციის პირობებში ზრდის დასაქმებისა და საკუთარი უნარების გამოვლენის შანსს. ამდენად ინსტიტუტი მზად არის წარსული გამოცდილების მაღალი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის ხარჯზე განახორციელოს მომზადება/გადამზადების პროგრამები.

მან განაცხადა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია, მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტები და აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“, რომელიც ბმაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამაში დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, სამუშაო გამოცდილება - ხალხური საკრავების დამწყები რეპეტიტორები მინიმალური 6 თვიანი გამოცდილებით, მუსიკალური განათლების დოკუმენტი (6-7 წლედი ან/და სხვა) და შემოქმედებითი ტური. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.

გასაუბრების დროს აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს რამდენიმე სიმღერა, ან ინსტრუმენტზე შესრულებული მელოდია (არანაკლებ ოთხისა); აპლიკანტმა სიმღერის შესასრულებლად უნდა იქონიოს რეკვიზიტები (ინსტრუმენტები); თუ სიმღერა ან საკრავიერი ნომერი თანხლებით სრულდება, წარმოადგინოს მუსიკალური აკომპანიმენტი ჩაწერილი 2 CD დისკზე ან მეხსიერების ბარათზე.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას ყოველ კვირას გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი. როგორც აღინიშნა, პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს 5 სწავლის შედეგის მიღწევას, საიდანაც პირველი სწავლის შედეგი არის თეორიული, ხოლო მე-2-მე-5 შედეგი არის პრაქტიკული.

იურიდიულ პირს აქვს შემუშავებული დოკუმენტი - ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დებულება, ასევე დოკუმენტი - მსმენელთა შეფასების წესი, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხდება მსმენელების შეფასება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი თანამშრომლობს კომპანიასთან, რომელიც თანამედროვე სივრცეში ინოვაციურ პლატფორმას, ელექტრონულ ჟურნალს სთავაზობს სასწავლებლებს და მათი შემოთავაზებული ონლაინ სივრცე მოსახერხებელია, როგორც სასწავლებლის ადმინისტრაციისათვის, ასევე პედაგოგებისთვის და მსმენელებისათვის. Schoolbook-ში პედაგოგებისთვის მოცემულია ჟურნალი, სადაც აღინიშნება მსმენელის ყოველდღიური დასწრება, დაგვიანება, საშინაო დავალების შესრულება, შუალედური წერის, ტესტისა თუ გამოცდის ჩაბარება და შემდგომში შეფასება.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი ადამიანური რესურსის (2 განმახორციელებელი პირი) კვალიფიკაციის დამადასტურებელი

დოკუმენტაციით, განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით. ასევე იურიდიულ პირს გააჩნია ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №26-ში სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი ფართი, სადაც არის 2 სასწავლო აუდიტორია (30-30 მსმენელზე), რომელიც განკუთვნილია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისთვის, სასწავლო გარემო აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით კომპიუტერით, პროექტორით, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად არის ის აუცილებელი აღჭურვილობა, რაც აუცილებელია ამ პროგრამის განსახორციელებლად. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით (ინტერნეტ რესურსები). წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით, კერძოდ ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №26-ში ხორციელდება პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი. იურიდიულ პირს შემუშავებული აქვს დაცვისა და უსაფრთხოების წესები, დოკუმენტში გაწერილია თუ როგორ ხდება შენობაში სასწავლო პროცესის უსაფრთხოების დაცვა.

ასევე წარმოდგენილ იქნა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ანგარიში, დოკუმენტის თანახმად ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე №41 დადგენილებას“ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნებს.

იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსმენელის საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს; ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სპორტისა და ხელოვნების განვითარებას, მსმენელების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას

ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტმა 2022 წლის 14 იანვრის №21740 გადაწყვეტილებით მოიპოვა „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება, რომელიც წარმატებით ხორციელდება. ასევე მოიპოვა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება.

იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

როგორც აღინიშნა, იურიდიული პირი ახორციელებს პროფესიული გადამზადების პროგრამას, ასევე იურიდიული პირი აწარმოებს საგანმანათლებლო საქმიანობას არაფორმალური განათლების ფარგლებში, ვიზიტის დროს ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს ვებგვერდი www.qor.org.ge და www.artfolk.ge, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაცია.

იურიდიულმა პირმა წარმოადგინა დოკუმენტი - ,,საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და შეფასების სტანდარტები, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და განვითარება. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს ,,დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე“ ციკლი.

აღნიშნული ინსტიტუტი ახორციელებს პროფესიული გადამზადების პროგრამას „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“, შესაბამისად დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ასახვას ელექტრონულ სისტემაში https://e-vet.emis.ge/ .

ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. პორტალი. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს სისტემაში.
გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი ახორციელებს პროფესიული გადამზადების პროგრამას, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს /სერტიფიკატს დანართთან ერთად.
დაწესებულებაში სერტიფიკატების გაცემა ხდება საგანმანათლებლო დოკუმენტის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით, მიღება-ჩაბარების აქტს თან ერთვის სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის ასლები.
პრეზენტაციის წარდგენისას მან ასევე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საკითხების წარმდგენებს, რომ მეორე საკითხიც წარმოედგინათ, რის შემდეგაც საბჭო განახორციელებდა ორივე საკითხზე კენჭისყრის პროცედურას.

5. ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის „სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი/მწვრთნელი“ /01771/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 12 ოქტომბრის №1354925 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ალბერტ ისახანოვმა შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი/მწვრთნელი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 18 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა. ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ ისაუბრებდა მოკლედ იმ ქვესტანდარტებთან მიმართებაში, რაც შეეხებოდა უშუალოდ პროგრამას, რადგანაც მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად და დასძინა რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
დარგის ექსპერტმა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 30 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26.
პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი/მწვრთნელი“, რომელიც ბმაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, სამუშაო გამოცდილება - მინიმალური 4 წლიანი

ცეკვის გამოცდილება საცეკვაო სტუდიაში და შემოქმედებითი ტური. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამაზე შემოქმედებითი ტურის გავლის გარეშე დაიშვებიან ცეკვის სტუდიის დამწყები ქორეოგრაფები და ასისტენტები, მოქმედი პროფესიონალი კატეგორიის მოცეკვავეები, დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში. მინიმალური 6 თვიანი გამოცდილება.
შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებია: აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს რამდენიმე ცეკვა (არანაკლებ ოთხისა); აპლიკანტმა საკუთარი ცეკვის შესასრულებლად უნდა იქონიოს საჭირო რეკვიზიტები; ცეკვის მუსიკალური აკომპანიმენტი ჩაწერილი უნდა იყოს 2 CD დისკზე ან მეხსიერების ბარათზე. ცეკვის შესრულებისას აუცილებელი მოთხოვნაა, რომ შესრულდეს ცეკვები რაოდენობრივად თანაბრად, როგორც ევროპული, ასევე ლათინო ამერიკული ცეკვების პროგრამიდან.
წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას ყოველ კვირას გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი. როგორც აღინიშნა, პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს 4 სწავლის შედეგის მიღწევას, საიდანაც პირველი სწავლის შედეგი არის თეორიული, ხოლო მე-2-მე-4 შედეგი არის პრაქტიკული.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი ადამიანური რესურსის (2 განმახორციელებელი პირი) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით. სწავლებისთვის გამოყოფილია 2 გარემო თეორიული კომპონენტის განსახორციელებლად, ხოლო პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილია 2 საცეკვაო დარბაზი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სხვა დამხმარე ფართი და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით, რომელიც ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დირექტორს, ვინაიდან ორივე წარმოდგენილი პროგრამა არის გადამზადების, პროგრამებზე მოთხოვნილი მსმენელთა საკმაოდ მცირე რაოდენობაა, რამდენად არის მაღალი მომართვიანობა ამ პროგრამებთან დაკავშირებით, მურმან გამისონიამ პირველ რიგში მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტებს თანამშრომლობისთვის და განაცხადა, რომ უკვე არიან მსურველები, ამ მიმართულებით პირველი პრეცენდენტი იქნება საქართველოში, ვინც მუშაობს ამ მიმართულებით, ყველას გააჩნია სტუდიური განათლება, თუ იქნება ცენტრის მხრიდან თანხმობა, და ინსტიტუტი მოიპოვებს განხორციელების უფლებას, თუ ეს პროგრამები განხორციელდება ფორმალურ სივრცეში და მსმენელები მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატებს.
შემდეგ ისაუბრა პროგრამის განმახორციელებელმა პირმა და განაცხადა, რომ ნამდვილად პირველი პრეცენდენტია გადამზადების პროგრამის შემუშავება სამეჯლისო ცეკვების კუთხით, წლების წინ იყო პრეცენდენტი, თუმცა ეს იყო უნივერსიტეტში და ეროვნული გამოცდები უნდა ჩაებარებინა პირს, ასე რომ არის ბევრი მსურველი, რომელსაც უნდა ახალ ეტაპზე გადავიდეს და მიიღოს გადამზადების პროგრამის საშუალებით დამატებითი ცოდნა და უნარები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ /01772/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტს (ს/კ: 406260255) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი /01772/ **(დანართი 4)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის „სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი/მწვრთნელი“ /01771/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, 1. ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტს (ს/კ: 406260255) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი/მწვრთნელი /01771/ **(დანართი 5)**.

6. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01673/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის №1244063 ოქმის, ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრისთვის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის №1246532 გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურმა ცენტრმა 2023 წლის 12 ოქტომბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული განაცხადი (ID 01673, 12.10.2023).
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 16 ოქტომბრის №1375112 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ნონა საათაშვილმა და მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ შეისწავლეს წარმოდგენილი განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამა.

დაფიქსირებული იყო ხარვეზი ქვესტანდარტი 1.7 ფარგლებში: **პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია**
პროგრამის ხანგრძლივობა (გათვალისწინებული საათებისა და კვირების რაოდენობა) უნდა დაკორექტირდეს და 25 საათის - ჯამში პირველი 6 კვირის მომცველი, ზედმეტად დეტალიზებული, პროფესიული გადამზადების პროგრამით მისაღწევი მთავარი მიზნისთვის ზედმეტად ფართო/გავრცობილი თეორიული ნაწილი ჩანაცვლებულ იქნას გონივრული მოცულობის დარგის მიმოხილვითი მიზნობრივი/გაცნობითი სახის ტრეინინგით და ეს ყოველივე აისახოს პროგრამის თითოეული კვირის საათობრივ დატვირთვასა და კვირების ჯამზე, რაც 18 კვირაზეა გადანაწილებული.
უნდა გადაიხედოს თითოეული კვირის საათობრივი დატვირთვა და თეორიული ნაწილის კორექტირების შემდეგ, ასევე, გონივრულად უნდა შემოკლდეს პროფესიული გადამზადების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე კვირების რაოდენობაც, შესაბამისად- აღნიშნული საკითხი დაფიქსირდა ხარვეზად.
დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი, კერძოდ, წარმოდგენილ პროფესიული გადამზადების პროგრამის დოკუმენტში საათებისა და კვირების რაოდენობა გონივრულად არის კორექტირებული - ამჟამად პროგრამა ჯამში 88 საათსა და 13 კვირას მოიცავს. სწავლის შედეგების დაზუსტების შედეგად კი, ზედმეტად დეტალიზებული თეორიული ნაწილი, რომელიც ექვსი კვირის, ჯამში 25 საათის მომცველი იყო, ახლა მხოლოდ პირველი კვირის 6 საათიანი სასწავლო დატვირთვით შემოიფარგლება, რაც სრულიად საკმარისია აღნიშნული გადამზადების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები
ქვესტანდარტი 1.2 - პროფესიული გადამზადების პროგრამის I - VI კვირის მონაკვეთში გადანაწილებული პირველი ორი სწავლის შედეგი, ანუ ზედმეტად გავრცობილი თეორიული ნაწილი, ჩანაცვლდეს რამდენიმე საათიანი მიმოხილვითი თემატიკით, რაც სრულიად საკმარისი იქნება მსმენელთათვის.
ქვესტანდარტი 1.3 - პირველი ექვსი კვირის 25 საათიანი თეორიული ნაწილი შემოკლდეს და გადამზადების პროგრამის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე დაკორექტირდეს, ან ჩანაცვლდეს პრაქტიკული სწავლებით.
ქვესტანდარტი 1.6 - წარმოდგენილი პროგრამის პირველი ორი შედეგი ჩანაცვლებულ იქნას ერთი მიმოხილვითი თემატიკით, რაც საკმარისი იქნება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე და ეს გონივრული ჩანაცვლება დადებითად აისახება მსმენელთათვის გადამზადების პროცესში

განსაზღვრული პროგრამის საათობრივი დატვირთვისა (ჯამში 107 საათი) და კვირების რაოდენობაზეც (ჯამში 18 კვირა).
დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია.
პირველი ორი სწავლის შედეგი დაკორექტირდა, კერძოდ: წარმოდგენილ პროფესიული გადამზადების პროგრამაში არის წარმოდგენილი 7 სწავლის შედეგი, შესაბამისად პროგრამა 88 საათსა და 13 კვირას მოიცავს.
ქვესტანდარტი 1.10 - გასაჩივრების მექანიზმის არ არსებობის გამო, გაცემული იყო რეკომენდაცია- დაიხვეწოს და ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის ხელმძღვანელის მიერ, შესაბამისი წესით დამტკიცდეს მსმენელთა შეფასების დოკუმენტი, რომელშიც ლოგიკური/გონივრული ვადა იქნება განსაზღვრული შეფასების აპელაციისთვის;
დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია. კერძოდ, წარმოდგენილ იქნა - ა(ა)იპ „ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის“ დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების სისტემის, გასაჩივრების წესისა და პირობების შესახებ“.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
დაწესებულებამ პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელების პროცესში ჩართული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ სრულად ჩაანაცვლა საკუთარი სასწავლო ლაბორატორიით.
ამდენად, სწავლება განხორციელდება ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის A და შესაბამისად აღჭურვილ C სასწავლო ლაბორატორიის გარემოში - პირისპირ სწავლების ფორმით.
C გარემო - უზრუნველყოფილია პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით, 15 მსმენელისთვის განკუთვნილი ყველა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით.
მან ასევე ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, დაეფიქსირებინა პოზიცია. დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ განაცხადა, რომ ამ პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია და არის სტანდარტთან შესაბამისობაში, როგორც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა გამართულია, ამ პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია კვალიფიციური კადრების მომზადება, რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩანაცვლებულია აქ წარმოდგენილი C გარემოთი და შესაბამისად, უკვე არ რჩება კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის დირექტორს, თუ როდის აპირებდნენ პროგრამის განხორციელებას, რაზეც ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ პროფესიული უნარების სააგენტოში შეიტანენ დაფინანსებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციას, თუმცა უკვე არის მსურველები, რომლებიც ამ ეტაპზე დარეგისტრირდებიან და შესაბამისად მალე დაიწყებდნენ პროგრამის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)“ /01673/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრს (ს/კ: 412759242) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი) /01673/ **(დანართი 6)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01722	ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	14	ქართული	10	დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა, „ეკლესიასთან“

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01759	შენობა-ნაგებობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და ტექნიკური შემოწმების სამუშაოები	პროფესიული მომზადება	მესამე	16	ქართული	30	ქ. ქობულეთი, შ. რუსთაველის №154

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01758	სასათბურე პირობებში მარწყვის მოყვანა-მოვლა	პროფესიული მომზადება	მეოთხე	17	ქართული	100	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ნიქოზი

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01772	ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	11	ქართული	15	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01771	სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფი/ მწვრთნელი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	30	ქართული	20	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01673	ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	18	ქართული	15	ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების №1